პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 31-ე წელი

პარასკევი, 21 ივლისი, 1950 წ. № 157 (8717). ფასი 20 კაპ.

15 წლის წინათ, 1935 წლის 21-22 ივლისს, თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ წაიკითხა ისტორიული მოხსენება — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელითაც ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ღრმად გაიცნეს პოლიტიკური ბრძოლის ის სკოლა, რომელზეც გამოვიდა ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენება უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში. სწავლობენ რა ამ მოხსენებას, ჩვენი კადრები იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, უკეთესად ეუფლებიან მუშაობისა და ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინურ სტილს, წარმატებით ახორციელებენ იმ ამოცანებს, რომლებსაც ჩვენს წინაშე სახავს ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მოეპოვებათ უდიდესი ისტორიული გამოცდილება ლენინური პარტიის მშენებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უმუალო ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყოფელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან.

ლ. ბერია

ლავრენტი კავლეს-ძე ბერია

ლაკვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ლაკვიის სსრ მინისტრთა საბჭოს
ლაკვიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნიან ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელთ მისი მეათე წლისთავის დღეს.

ათი წლის წინათ ლატვიის მშრომელებმა ბოლო მოუღეს ფაშისტსახლო ფაშისტურ რეჟიმს და შექმნეს სოციალისტური რესპუბლიკა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით ლატვიის მშრომელებმა ფაქტიურად ორმოცდაერთ ომოდ დანგრეული სახალხო მეურნეობა და მიაღწიეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სერიოზულ აღმავლობას, სოციალისტური კულტურის განვითარებას.

ბურჟუაზიული ლატვია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრარული დანამატი იყო. სოციალისტური მეფეობის წლებში ლატვია გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ მრეწველობის მრეწველობის ბრწყინვალედ. მრეწველობის ბრწყინვალე პროდუქციამ თითქმის ორნახევარჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს, მნიშვნელოვნად განვითარდა ელექტროენერგეტიკა, ელექტრონული, ხელსაწყოთმშენებლობა, მრეწველობის ქიმიური, მსუბუქი, კვების, ტყეგაჩეხვისა და სხვა დარგები. სამეფოამდე მოელო ბოლო ეკონომიკურ ბურჟუაზიული ლატვიის მშრომელთა ფეოდალურ ბატონყმობას.

ლატვიის სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ. საბჭოთა ლატვიის გლეხობა ფართო კოლექტიური შრომის უდიდესი უპირატესობანი და გაერთიანდა კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე სწრაფად იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მაღლდება მიწათმოქმედების კულტურა, ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მატულობს კოლმეურნეობათა სიმდიდრე და კოლმეურნეთა შემოსავალი. წარსულს ჩაბარდა მოჯამაგირეთა და მცირემიწიან გლეხთა უღმობელი ექსპლოატაცია და საშინელი გაჭირვება.

ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ლატვიელი ხალხის კულტურის აყვავება. რესპუბლიკაში ხორციელდება სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა, მუშათა ათობით ტექნიკუმი, ცხრა უმაღლესი სასწავლებელი, ფართოდ განვითარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, შექმნილია მეცნიერებათა აკადემია.

დიდი სამამულო ომის წლებში ლატვიის მშრომელნი საბჭოთა არმიის ლატვიის კორპუსის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ მტრის გასანადგურებლად. ომის შემდგომ დროს ლატვიელი ხალხი წარმატებით შრომობს თავისი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ ლატვიის სსრ მშრომელთ რესპუბლიკის შექმნის მეათე წლისთავს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ლატვიის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მიაღწევენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ აღმავლობას, კვლავაც დაუფალავად გამამტკიცებენ ხალხთა მეგობრობას და იბრძოლებენ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს
ლიტვის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე მისალმებიან ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ საბჭოლიტვის მეათე წლისთავის დღეს.

ლიტველმა ხალხმა 1940 წელს დაამხო საძულველი ფაშისტური რეჟიმი, გათავისუფლდა უცბოელ იმპერიალისტთა მონობისაგან და შეიდგა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სსრ კავშირის ყველა ხალხთან თანამეგობრობით ლიტვის მშრომელებმა აამენეს და განამტკიცეს თავიანთი სოციალისტური სახელმწიფო, მიაღწიეს დიდ წარმატებას სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში, მაღლდება მიწათმოქმედების კულტურა, ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მატულობს კოლმეურნეობათა სიმდიდრე და კოლმეურნეთა შემოსავალი. წარსულს ჩაბარდა მოჯამაგირეთა და მცირემიწიან გლეხთა უღმობელი ექსპლოატაცია და საშინელი გაჭირვება.

ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ლატვიელი ხალხის კულტურის აყვავება. რესპუბლიკაში ხორციელდება სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა, მუშათა ათობით ტექნიკუმი, ცხრა უმაღლესი სასწავლებელი, ფართოდ განვითარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, შექმნილია მეცნიერებათა აკადემია.

დიდი სამამულო ომის წლებში ლიტვის მშრომელნი საბჭოთა არმიის ლიტვის კორპუსის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ მტრის გასანადგურებლად. ომის შემდგომ დროს ლიტველი ხალხი წარმატებით შრომობს თავისი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ ლიტვის სსრ მშრომელთ რესპუბლიკის შექმნის ათეულ წლისთავს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ლიტვის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მიაღწევენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ აღმავლობას, კვლავაც დაუფალავად გამამტკიცებენ ხალხთა მეგობრობას და იბრძოლებენ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

მუდამ ახალი, მუდამ თანამედროვე

15 წლის წინათ, 1935 წლის 21-22 ივლისს დიდი ლენინის ერთგულმა მოწაფემ, ამხანაგ სტალინის თანამებრძოლმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თბილისის პარტიული აქტივის საქალაქო კრებაზე გაიკეთა ისტორიული მოხსენება — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენება დიდი ოვალეა იყო ჩვენი პარტიის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან სერიოზული ხარვეზი შეავსო პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში, უძველესი განძი გახდა ბოლშევიზმის მატიანეში.

1931 წელს ამხანაგი სტალინი წერილში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ (წერილი ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას" რედაქციას)", ამხილებდა რა ამ ჟურნალის მიერ დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს და დამახინჯებებს ბოლშევიზმის ისტორიის გაშუქების საქმეში, წერდა:

„ჩემი აზრით რედაქციის ამოცანა ისაა, რომ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები აიყენოს სათანადო სიმაღლეზე, ჩვენი პარტიის ისტორიის საქმე დააყენოს მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე და გაამახვილოს ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტულ და ყველა სხვა ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, სისტემატურად ჩამოგლეჯოს მათ ნიღაბი".

ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავისი მოხსენებით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" მოგვცა ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმის მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე დაყენების შესახებ ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულების საუკეთესო ნიმუში.

ამხანაგ ბერიას მოხსენების უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მან, ამხილა რა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიაში გაშენებული დამახინჯებანი, მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე დაყენა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უერთგულესი ორგანიზაციის — ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის შესწავლის საქმე. ამ მოხსენებამ ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე სწორად გაუშვა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია, ბოლო მოუღო დამახინჯებასა და გაყალბებას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის გაშუქების საქმეში.

ამხანაგ ბერიას მოხსენებით ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ღრმად გაიცნეს პოლიტიკური ბრძოლის ის სკოლა, საიდანაც გამოიყვანა დიდი ლენინის საუკეთესო მოწაფე, მისი ყველაზე ერთგული თანამებრძოლი დიდი სტალინი. ამ მოხსენებით გახდნენ ცნობილნი პროფესიონალი რევოლუციონერების უძველესი კადრები, რევოლუციის ეკეთილშობილი რაინდები — ლ. კეკუაველი, ა. წულუკიძე, ვ. კურნატოვსკი, გ. თელია და დიდი სტალინის სხვა თანამებრძოლები ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ყოველგვარი გაყალბებისა და დამახინჯების დაუნდობელ მხილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პარტიული კადრების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, მთელი ხალხის ბოლშევიკური აღზრდისათვის. თბილისის პარტიული აქტივის კრების რეზოლუციაში, რომელიც ამხანაგ ლავრენტი ბერიას აღნიშნული მოხსენების გამო იქნა მიღებული, ამასთან დაკავშირებით სწერია:

„თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება განსაკუთრებით აღნიშნავს ამხ. ბერიას მოხსენების მნიშვნელობას დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის სახელოვანი ტრადიციების შეთვისების საქმეში, პარტიული რიგების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პარტიული ორგანიზაციების ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერების საქმეში ყველა ანტიპარტიული და კონტრრევოლუციური ელემენტების, თვალთაქცევის, დამალული ლიბერალების, დიდაცების, დიდმპყრობლების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვ. წინააღმდეგ ბრძოლაში".

აქტივის კრებამ დაავალა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს მოეწყო ამხანაგ ბერიას მოხსენების ღრმად შესწავლა ყველა პარტორგანიზაციაში, პარტიული განათლების მთელ ქსელში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და სხვ. მაგრამ ამხანაგ ბერიას მოხსენების შესწავლის ინტერესი მალე გასცილდა თბილისს, საქართველოს და ამიერკავკასიის ფარგლებს. ამხანაგ ბერიას მოხსენება დაბეჭდა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პრავდამ". იგი გადათარგმნილ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე და გამოიცა წიგნად ასეული ათასი ტირაჟით. 15 წლის სამეძღვნო ამხანაგ ბერიას მოხსენება მრავალჯერ გამოიცა. მას სიყვარულით სწავლობენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქალაქში, ყველა სოფელში.

მხოლოდ ამხანაგ ბერიას მოხსენების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერულად შესწავლა. ამხანაგ ბერიას მოხსენებამ გაამაღლა ბოლშევიზმის ისტორიის პროპაგანდა. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, რომელიც ამხანაგ ბერიას ინიციატივით შეიქმნა, ხელი მოჰკიდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხების შემდგომ დამუშავებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკებმა ხელი მოჰკიდეს ამხანაგ ბერიას მოხსენებაში წამოყენებული პრობლემების გაშუქებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა გაამლიერეს ყურადღება ბოლშევიზმის ისტორიის საკითხების შესწავლისადმი და ამით გაუმჯობესებულ კადრების იდეური აღზრდა. ამხანაგ ბერიას მოხსენება გადასწვდა იდეოლოგიური მუშაობის ყველა მხარეს. მან ჩვენ მწერლებს, დრამატურგებს, მხატვრებს მთავარნი შეეკმნათ მესაინიშნავი ქმნილებანი ამიერკავკასიის ბოლშევიკების გმირულ წარსულზე, ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების ლ. კეკუაველისა და ა. წულუკიძის მოღვაწეობის თემებზე. ამხანაგ ბერიას მოხსენება მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს ეხმარება, სიმართლით ასახონ ჩვენი დიდებული სოციალისტური სინამდვილე.

ამხანაგ ბერიას ნაშრომი გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა ამიერკავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა, როგორია მისი ფესვი აწმყო და წარმტაცი მომავალი.

„თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება,—თქვა ამხანაგმა ბერიამ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1950 წლის 9 მარტს, — საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთ-ერთი პირობა იყო, რამაც ხელი შეუწყო თვითეული ხალხის ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამასთან ასაზრდოებდა და აკეთებდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, როგორც ერთთა თანამეგობრობის საფუძველს. ამიერკავკასიის ხალხთა ეს ისტორიული თანამეგობრობა კვლავაც უნდა მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს".

დიდი სტალინის უსაზღვროდ ერთგული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იბრძოლებს მომმე ერებთან საქართველოს შრომელთა მეგობრობის განსამტკიცებლად და განსავითარებლად.

ახლა, როცა ჩვენი სამშობლო სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დიად პროგრამას ახორციელებს, იდეოლოგიურ მუშაობას, მასების შეგეგმულობის დონის ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ლენინისა და სტალინის ნაშრომების, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა კადრების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობის, მასების კომუნისტური აღზრდის უბადლო იარაღია. ამხანაგ ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ძვირფასი განძია ისტორიულ პარტიულ ლიტერატურაში. ამ მოხსენების ღრმად შესწავლა ყოველთვის იყო და არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი პროპაგანდისტების დიდმნიშვნელოვანი საქმე.

ჩვენი ამოცანაა უკეთესად მოვაწყოთ ფილოსოფიური მუშაობა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ბოლშევიკური პარტიის ისტორია და თეორია. ამ საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა ამხანაგ ბერიას ნაშრომისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

კადრების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობა, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრის აუცილებელი პირობაა.



ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს
ლიტვის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

(დასასრული)

ტებებს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში.

საბჭოთა ლიტვაში შეიქმნა მსხვილი მრეწველობა. ათვისებულია ლითონდამმუშავებელი დაზგების, ელექტრომოტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სადინარო გემების წარმოება. მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ძირეული გარდაქმნები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. წვრილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად იქცევა. გლეხურ მეურნეობათა სამ მეოთხედზე მეტი გაერთიანდა კოლმეურნეობებში, დაადგა საკოლმეურნეო შეძლებული ცხოვრების გზას.

სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ვითარდება ლიტველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკაში მუშაობს 3.500-ზე მეტი სკოლა, ორმოცზე მეტი ტექნიკუმი, თერთმეტი უმაღლესი სასწავლებელი, შექმნილია ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემია.

დიდი სამამულო ომის წლებში ლიტველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ომისშემდგომ წლებში ლიტვის მშრომელნი წარმატებით ასრულებენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ საბჭოთა ლიტვის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე წლისთავს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ლიტველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში კვლავაც დაუღალავად იბრძოლებს ახალი წარმატებებისათვის საბჭოთა ლიტვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — **საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს
ესტონეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა ესტონეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მეათე წლისთავის დღეს.

1940 წელს ესტონელმა ხალხმა დაამხო ანტისახალხო ბურჟუაზიული რეჟიმი და გათავისუფლდა უცხოელ იმპერიალისტთა მონობისაგან. ხალხის ნებით ესტონეთი შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. საბჭოთა წყობილებამ, ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმურმა დახმარებამ უზრუნველყო რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის წარმატებითი განვითარება.

თავისი მეათე წლისთავისათვის საბჭოთა ესტონეთმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს მრეწველობის განვითარებაში, რომელიც ბურჟუაზიული წყობილების დროს დაცემული იყო. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. სწრაფი ტემპებით იზრდება მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ფიქალების მოპოვება და გადამუშავება, ახლად შექმნილია გაზის მრეწველობა. ესტონეთის ფაბრიკები და ქარხნები იარაღდებიან მოწინავე ტექნიკით.

გარდაიქმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. გლეხურ მეურნეობათა სამ მეოთხედზე მეტი კოლმეურნეობებში გაერთიანდა, დაადგა კულტურული, შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების გზას. სამუდამოდ ლიკვიდირებულია ესტონელი გლეხის კულაკური ექსპლოატაცია. საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე ძლიერდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, იზრდება მიწათმოქმედების კულტურა, დიდდება მოსავლიანობა, ვითარდება საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ესტონელმა ხალხმა განახორციელა დიდი კულტურული მშენებლობა. რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, შექმნილია ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია. მნიშვნელოვნად გადიდდა სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი, მუშაობს ორმოცზე მეტი ტექნიკუმი, რვა უმაღლესი სასწავლებელი, გაიზარდა ბიბლიოთეკებისა და კლუბების ქსელი.

ესტონეთის მშრომელნი დიდი სამამულო ომის პერიოდში იბრძოდნენ საბჭოთა არმიის ესტონეთის გვარდიული კორპუსის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ომის დამთავრების შემდეგ ესტონელი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაუღალავად იბრძვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთ მისი შექმნის ათი წლისთავს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია კვლავაც განამტკიცებენ ხალხთა სტალინურ მეგობრობას და მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ საბჭოთა ესტონეთის ახალ აყვავებას, ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — **საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსების ნაყოფის** უხვი მოსავლის მოყვანისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურსაზღაური მტს-ების 1949 წლის მუშაობისათვის და უზრუნველყოფილი არიან ყველა კულტურის თესლით 1950 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო ოდენობით, **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური"**:

1. **ალანიას** გოგუცა ლუკას ასულს — ხობის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.282,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
2. **არახამიას** მაჭუტა ალექსანდრეს ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის" წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.035 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
3. **ბაქარაიძეს** მარგო კაპიტონის ასულს — ზუგდიდის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.185 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
4. **ბერიას** ვაკოშა აკაკის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.081 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
5. **ბერიას** ირაკლი ძიკის-ძეს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 10.022 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
6. **გარდავას** ნათელა ბეჩოს ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.126 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
7. **გარმელიას** მიჩა დავითის ასულს — ოჩამჩირის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.134 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
8. **ღვინჯილიას** ვერა აპოლონის ასულს — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.125 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
9. **გოგოტიშვილს** ლოლა მელიტონის ასულს — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0.5 ჰექტარზე მოიყვანა 6.328 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
10. **დანელიას** ნინო ივანეს ასულს — გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.092 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
11. **დარასელიას** დანიელ უჩას-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" მერგოლეურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.049 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
12. **დარასელიას** ქსენია ტარასხანის ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.244 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
13. **დარასელიას** ლენა ალმასხანის ასულს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.053 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
14. **დარჩიას** როზა გიორგის ასულს — მახარაძის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.361 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
15. **ჯაბუას** ვლადიმერ ვლადიმერის-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" მერგოლეურს, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 9.246 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
16. **ჯაბუას** იმენი სტეფანეს-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" მერგოლეურს, რომელმაც ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 8.071 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
17. **ჯაბუას** იანი ფარნაოზის-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" ბრიგადირს, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.122 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
18. **ჯოჯუას** ლავრენტი ერასტის-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" ბრიგადირს, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.307 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
19. **ჯოჯუას** ეთერ ელიზბარის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.011 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
20. **ქადარიას** მინადორა პართენის ასულს — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.197 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
21. **ქადარიას** რაჟდენ კონსტანტინეს-ძეს — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის" ბრიგადირს, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.232 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
22. **ქათამაძეს** ქევსერ სულეიმანის ასულს — ქობულეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.009 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.
23. **კილასონიას** ვალენტინა პეტრეს ასულს — გეგეჭკორის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.127 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლების მძლავრი იარაღი

15 წელი ამხანაგ ლავრენტი ბერიას ნაშრომისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"

უძვირფასესი განძი ბოლშევიზმის მატიანეში

საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრივი აზროვნების, ისევე როგორც მთელი ქართული მეცნიერების აღმავლობა განუყრელადაა დაკავშირებული ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელთან. მისმა ბრწყინვალე ნაშრომმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელიც ძვირფას განძს წარმოადგენს მარქსისტულ ლიტერატურაში, უდიდესი ბიძგი მისცა არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარებას.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ეს ნაშრომი წარმოადგენს ამიერკავკასიაში და საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიის მეცნიერული გაშუქების საუკეთესო ნიმუშს.

დღეს, როდესაც აღვნიშნავთ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" გამოქვეყნების 15 წლისთავს, საჭიროა ითქვას, რომ ამხანაგ ლავრენტი ბერიას ამ ნაშრომზე აღზრდილი ძლიერი კოლექტივი ქართველი საბჭოთა მეცნიერებისა, თავდადებულად შრომობს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დასახულია მის მიერ ჩვენი მეცნიერების წინაშე სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

1946 წლის 5 თებერვალს თავის სიტყვაში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე, საარჩევნო კრებაზე ამხანაგი ლავრენტი ბერია აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მეცნიერებმა ცოტა მუშაობა როდი გასწიეს ომის წარმოებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემებზე... ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს,—და ეს ეხება არა მარტო საბჭოთა საქართველოს მეცნიერებს, — რომ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პრობლემები ჯერ კიდევ ელოდებიან გადაჭრას".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია იბრძვის იმისათვის, რომ შეასრულოს ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითება, წარმატებით გადაჭრას მეცნიერთა წინაშე ჩვენი პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანები. აკადემიის 800-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი აქტიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევს მუშებს, კოლმეურნე გლეხებსა და ინტელიგენციას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

შთაგონების უშრეტი წყარო

ლავრენტი ბერიას შესანიშნავმა ნაშრომმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" უდიდესი როლი შეასრულა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში და ქართველი მხატვრებისათვის შთაგონების უშრეტი წყარო გახდა.

ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ქართველმა მხატვრებმა შექმნეს შესანიშნავი გამოფენა, რომელიც დიდ მოვლენას წარმოადგენდა ქართული ხელოვნების ისტორიაში. მაღალიდეურმა თემამ განაპირობა მხატვართა უდიდესი პასუხისმგებლობა, მისწრაფება მაღალი ოსტატობის დაუფლებისადმი. ამ გამოფენამ გააერთიანა ქართველ მხატვართა მანამდე დაქსაქსული ძალები, მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებას. თავის სურათებში ქართველმა მხატვრებმა ასახეს დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის შესანიშნავი ეპოპეა.

უდიდესი მადლობის გრძნობით მინდა მოვიგონო ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო მონაწილეობა ამ გამოფენის შექმნაში. უაღრესად შინაარსიანი მისი კონსულტაცია, რომლის დროსაც იგი იჩენდა ხელოვნების გასაოცარ ცოდნასა და ფაქიზ გაგებას, გვეხმარებოდა ნაწარმოების თემის უფრო ღრმად შეგრძნებასა და გაგებაში, ყოველ ჩვენგანს მატებდა ძალას, გვინერგავდა გამარჯვების რწმენას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მთელ საბჭოთა ხელოვნებაში. გამოფენა, რომელსაც საბჭოთა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა, ნაჩვენები იყო, გარდა თბილისისა, საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ცენტრში — მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალი ნაწარმოები შევიდა საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი მუზეუმების — ლენინის ცენტრალური მუზეუმის, ტრეტიაკოვის გალერიის, რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის და სხვ. მუდმივ ექსპოზიციებში.

ამჟამად ქართველი მხატვრები ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო გამოფენისათვის, აგრეთვე მოსკოვის მორიგი საკავშირო გამოფენისათვის.

პირადად მე ერთდროულად რამდენიმე სურათს ვამზადებ. მრავალი წელია ვმუშაობ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პორტრეტის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე, აგრეთვე სურათზე „ლ. პ. ბერია კავკასიის ფრონტზე" და კომპოზიციაზე „ამხანაგი სტალინი სამთავისში".

პროფესორი ა. ქუთათელაძე
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

მუდმივი სახელმძღვანელო წიგნი

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" უძვირფასესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის ოქროს ფონდში. იგი უაღრესი სიზუსტით ასახავს ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და განვითარების სახელოვან გზას, მოგვითხრობს იმ უდიდეს რევოლუციურ მუშაობაზე, რომელიც გასწია დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა დასარაზმავად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შვიდი წელია, რაც პროპაგანდისტულ მუშაობას ვეწევი. ჩემი, როგორც პროპაგანდისტის, მიზანი ყოველთვის იყო თანმიმდევრულად და ღრმად მესწავლებინა მსმენელებისათვის სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსთან ერთად დიდ დახმარებას მიწევდა და მიწევს ამხანაგ ლავრენტი ბერიას ძვირფასი ნაშრომი. ცალკე თემების შესწავლისას წრის მეცადინეობაზე მსმენელებს ყოველთვის ვესაუბრები ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირულ წარსულზე, ვასწავლი მათ, თუ როგორი გულისხმიერებითა და ოსტატობით უყრიდა საფუძველს, ზრდიდა და აწრთობდა ამ ორგანიზაციებს დიდი სტალინი. ამხანაგ ბერიას წიგნში მოცემული მდიდარი მასალების გამოყენებით უფრო შინაარსიანსა და მიმზიდველს ვხდი ჩემს ყოველ საუბარს. ხშირად ვაწყობ ექსკურსიებს ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დასათვალიერებლად.

— ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის საფუძვლიანად შესწავლაში, — თქვა შემაჯამებელ მეცადინეობაზე ჩემი წრის მსმენელმა, კამვოლური საამქროს ოსტატმა შ. მჭედლიშვილმა, — დიდად მეხმარება ამხანაგ ბერიას წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". როდესაც ამ შესანიშნავ ნაშრომს კითხულობ, ერთხელ კიდევ მთელი სიძლიერით და სიცხადით გიდგება თვალწინ დიდი სტალინის მიერ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და გამოწრთობისათვის გაწეული მეცნიერული მუშაობა, მისი პრინციპულობა და შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრებისადმი. ამხანაგ ბერიას ნაშრომის შესწავლით საგრძნობლად გავიმდიდრე ცოდნა, კიდევ უფრო დავინტერესდი, რათა დაუღალავად ვისწავლო ბოლშევიზმის ისტორია, ბეჯითად დავეუფლო ყოვლისმძლე მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

დიდია ლავრენტი ბერიას ნაშრომის მნიშვნელობა. იგი პარტიასა და ხალხს ეხმარება ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შესწავლის საქმეში, იგი ასწავლის ჩვენს კადრებს, თუ როგორი უნდა იყვნენ ისინი შრომასა და სწავლაში, რაზმავს მათ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ს. ქორიძე
თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი.

დიდი ჩირაღდანი

საქართველოს საამაყო შვილმა, დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თხუთმეტი წლის წინათ შექმნა შესანიშნავი წიგნი, რომელმაც ჩირაღდანივით გააშუქა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სახელოვანი წარსული, უშუალოდ დაკავშირებული ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მგზნებარე რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

ამხანაგ ბერიას წიგნმა ცხოველმყოფელი ნათელი მოჰფინა ბოლშევიზმის ისტორიის მეტად საგულისხმო უბანს და საუკეთესო სახელმძღვანელო გახდა ყველა მუშაკისათვის, მათ შორის ხელოვნების მუშაკთათვის. ამ ნაშრომმა სტიმული მისცა ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, თეატრებს, რომ გამოევლინებინათ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობა.

მეც გამიელვა აზრმა, რომ ჩემი შესაძლებლობისამებრ, დამეწერა რაიმე მხატვრული ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან. შევუდექ მზადებას. ძვირფასმა ლავრენტი ბერიამ გარდა თავის წიგნისა, პირადი დახმარებით დიდად შემიწყო ხელი. მან პირველმა შთამაგონა პიესაში გ[...] მომექცეთა დიდი სტალინის სახე [...] მიიღო მონაწილეობა პიესის კითხვ[...] და ჩამოძერწვაში.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ დრამატურგიული ნაწარმოები ბელადის შესახებ ჩემ პიესამდე არც რუსულ[...] იყო. ამიტომ ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ასეთი პასუხსაგები ნაწარმოების შექმნა. ამ შემთხვევაში მე უწინაპ[...] ვიყავი, მაგრამ, ვიმეორებ, ლავრენტი ბერიას დახმარებამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ დღეს, ჩემდა საბედნიეროდ, „ნაპერწკლიდან" მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებული პიესაა.

რა დიდის მადლობით იქნება ჩ[...] გული აღსავსე ღირსშესანიშნავი წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" და მისი ავტორისადმი, ამ[...] ცხადია, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს.

შალვა დადიანი

გამოცემა ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"

15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე გააკეთა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

ლ. პ. ბერიას ისტორიული ნაშრომი ფართოდ გავრცელდა. იგი მუდმივ სახელმძღვანელო წიგნი გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიას სწავლობენ.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნი, რომელშიც გადაშლილია საქართველოსა [...] ამიერკავკასიაში დიდი სტალინის მი[...] შექმნილი და აღზრდილი ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ისტორიის ფურცლები, ბოლშევიზმის მატიანეში შეტანილი უძვირფასესი განძია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ცნობებით, ჩ[...] ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლო[...] გასული წლების მანძილზე ამხ[...] ლ. პ. ბერიას ნაშრომი რუსულ ენ[...] გამოუშვა რვაჯერ, 2.067.000 ც[...] საერთო ტირაჟით. წიგნი გამოიცა [...] რეთვე სსრ კავშირის ხალხთა 17 ენ[...] 700.000 ცალად.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი დ[...] ტირაჟით გამოიცა ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნი ქართულსა და რუსულ ენაზე პირველად გამოვიდა 1935 წლის აგვისტოში 190.0[...] ცალად. 1938 წელს ეს წიგნი მეორ[...] გამოიცა ქართულ ენაზე. ამხ[...] ლ. პ. ბერიას ნაშრომი მასობრივი ტირაჟით გამოიცა 1939 წელს, 1945 [...] 1949 წელს.

15 წლის განმავლობაში წი[...] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვ[...] საქართველოში 16-ჯერ გამოი[...] 275.600 ცალი საერთო ტირაჟით. ქართულ ენაზე ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი შვიდჯერ გამოიცა 155.000 [...] ლად, რუსულ ენაზე—100.000 ცა[...] აფხაზურსა და ოსურ ენებზე — [...] სამჯერ.

ამჟამად სახელგამი დასაბეჭდ[...] ამზადებს ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგ[...] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვ[...] ახალ გამოცემას. (საქპრესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების 10 წლისთავი

საბჭოთა ლატვიის სამეურნეო და კულტურული აღმავლობა

ფ. ტიტოვი
ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ათი წელი შესრულდა ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდან.

ლატვიელი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს ეგებება დიდი წარმატებებით სოციალისტურ მშენებლობაში. ლატვიის სსრ მშრომელებმა ეს წარმატებანი მოიპოვეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარებით, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით.

ლატვია, რომელიც ნაციონალისტური ბურჟუაზიის დანაშაულებრივი ბატონობის წლებში ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარულ-სანედლეულო დანამატი იყო, საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და კოლექტიური სოფლის მეურნეობის მქონე რესპუბლიკა. საბჭოთა ლატვიის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს დიდი სტალინის მიერ დასახული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

* * *

უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ, კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ლატვიელთა მამაცურმა ასეული წლების ბრძოლამ გამოიწვია, განამტკიცა და ურღვევი გახადა ლატვიელი ხალხის მეგობრობა დიდ რუს ხალხთან. ეს მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ლატვიის მშრომელთა ორგანიზატორი და აღმაფრთოვანებელი მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კაპიტალისტური მონობის დამხობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იყვნენ ბოლშევიკების კომუნისტური პარტია, მშრომელთა დიდი ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

1919 წელს ლატვიის რეაქციულმა ბურჟუაზიამ უცხოელ ინტერვენტთა დახმარებით მოახერხა ლატვიაში დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, სისხლში ჩაახშო ახალგაზრდა ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკა. ათასობით მშრომელი თეთრი ტერორის მსხვერპლი გახდა. მარტო რიგაში 1919 წლის მაისში მოკლულ იქნა დაახლოებით 4,5 ათასი კაცი.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების თეთრმა ტერორმა, ოცი წლის სასტიკმა ჩაგვრამ ვერ გატეხა ლატვიელი ხალხის ნებისყოფა, ვერ დააყრევინა იარაღი ლატვიის ბოლშევიკებს. და როცა ლატვიელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის დახმარებით შესაძლებლობა მიიღო გამოეთქვა თავისი ნება, მან ერთსულოვნად გამოაცხადა ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლება, ლატვია შევიდა საბჭოთა ხალხების სტალინურ ოჯახში.

ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების ისტორიულმა გამარჯვებამ ლატვიელი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის მჩქეფარე განვითარების ეპოქა შექმნა, ძირეულად შეცვალა ვითარება ლატვიაში. ათასობით ლატვიელი მუშა სარდაფებიდან მდიდრების ბინებში გადასახლდა. ღარიბებმა და მოჯამაგირეებმა საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღეს მიწა.

გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოსევამ შეწყვიტა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა და სოციალისტური მშენებლობა ლატვიაში. ლატვიელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად ღირსეულად გაუძლო სამამულო ომის მძიმე განსაცდელს. მისი საუკეთესო შვილები გმირულად, სრულ გამარჯვებამდე, იბრძოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა არმიის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში.

საბჭოთა ლატვიის განვითარება ომის შემდეგ აღინიშნა ლატვიელი ხალხის კულტურის სწრაფი ზრდით.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ლატვიის სსრ სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთი ხუთად და უფრო მეტად გაიზარდა. 1949 წელს რესპუბლიკის მრეწველობამ მოგვცა ორნახევარჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ომამდელთან შედარებით რვაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა მარტო ლითონდამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია. ომის შემდეგ ლატვიაში აღდგენილი და ახლად აშენებულია მრავალი ასეული საწარმო, აღდგენილია საზღვაო ნავსადგურები და რკინიგზის ტრანსპორტი, მთლიანად აღდგენილია რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებანი და ენერგეტიკული მეურნეობა. უკანასკნელი წლების მანძილზე ლატვიის ქარხნებსა და ფაბრიკებში აითვისეს ახალი სახეების პროდუქციის წარმოება, რასაც წინათ არასოდეს არ უშვებდნენ.

უდიდესი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. ლატვიის გლეხურ მეურნეობათა 95 პროცენტზე მეტი ამჟამად გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო წყობილებამ სამუდამოდ იხსნა ლატვიელი გლეხობა გაჩანაგებისა და სიღატაკისაგან, დაუსახა მას კულტურული და შეძლებული ცხოვრების უმდიდრესი პერსპექტივები.

ლატვიის საკოლმეურნეო მინდვრებში ფართოდ არის გამოყენებული უახლესი საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისათვის გათვალისწინებული მანქანების რაოდენობა გაიზარდა რვაჯერ, ტრაქტორის სათესი მანქანებისა — 23-ჯერ, სატრაქტორო პარკის სიმძლავრე—ერთისამად. ლატვიაში ამჟამად 88 მტს-ია, წლის დამლევისათვის კი 100 იქნება.

განუხრელად იზრდება საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა, სწრაფად ვითარდება მეცხოველეობა. შარშან ლატვიის კოლმეურნეობებში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა მეტი იყო 30,6 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—15,6 პროცენტით, სელისა — 29 პროცენტით, კარტოფილისა — 16,2 პროცენტით, ვიდრე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში 1940 წელს. 1949 წელს რესპუბლიკაში მოეწყო 14 ათასზე მეტი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ახალი ფერმა. ლატვიის ათობით კოლმეურნეობა აშენებს ახალ სოციალისტურ დაბებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ლატვიელ ხალხს გზა გაუხსნა მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებისაკენ. რესპუბლიკაშია ათი უმაღლესი სასწავლებელი, ათობით ტექნიკუმი, 1.550 სკოლა, ბევრი სპეციალური საშუალო სასწავლებელი. ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც დიდი სტალინის ინიციატივით არის შექმნილი, და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მუშაობენ გამოჩენილი მეცნიერები. წარმოების სტახანოველ ნოვატორთა არმიასთან ერთად, რომლის რიგებშიც დაახლოებით 50 ათასი კაცი ითვლება, მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ლატვიაში მთლიანად არის ლიკვიდირებული წერაკითხვის უცოდინარობა. რესპუბლიკაში შექმნილია კულტურის კერების ფართო ქსელი — გახსნილია 600 სახალხო სახლი, კულტურის სახლი და კლუბი, 11 თეატრი, 1.250 სახელმწიფო და პროფკავშირული ბიბლიოთეკა, 3.000 საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, ათასობით წითელი კუთხე, ასობით სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ლატვიაში გამოიცა 4 ათასზე მეტი სახელწოდების წიგნები 46 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. საბჭოთა ლატვიის მშრომლები მშობლიურ ენაზე კითხულობენ და სწავლობენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაწარმოებებს.

ლატვიის სსრ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა ბევრი მეცნიერული ნაშრომი და ნაწარმოებები შექმნეს, რომელთაგან საუკეთესოებს მიენიჭათ მაღალი ჯილდო—სტალინური პრემიები.

ყველა ამ უდიდეს წარმატებას ლატვიის სსრ მშრომელებმა მიაღწიეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ლატვიელ ხალხზე დიდი სტალინის მამობრივი ზრუნვის მეოხებით, რუსი ხალხისა და საბჭოთა ხალხების მთელი სტალინური ოჯახის დახმარების მეოხებით.

ლატვიის სს რესპუბლიკამ თავისი მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის მიიღო ბევრი მანქანა, ლითონი, ქვანახშირი, ნავთის პროდუქტები, ცემენტი და სხვა. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა ლატვიაში მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა ბევრი ინჟინერი, ტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დახმარებით ლატვიის სს რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში.

საბჭოთა ხალხების მტკიცე ოჯახში საბჭოთა ლატვიის მშრომელები რწმენით მიდიან წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

თავისი რესპუბლიკის სასიხარულო იუბილეს დღეს ლატვიელი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ერთგულებას ხალხთა მეგობრობის ლენინურ-სტალინურ პრინციპებისადმი, ურყევ დარაზმულობას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა დიდი ბელადის, ძვირფასი და საყვარელი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში

ი. პალეცკისი
ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ათი წლის წინათ ლიტვის სახალხო სეიმმა, რომელიც გამოხატავდა ყველა მშრომელის ნებას, გამოაცხადა ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლება და თხოვნით მიმართა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიეღო ახალი საბჭოთა რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ ისტორიული აქტით ბოლო მოეღო ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობას ლიტვაში და აფრიალდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა. 1940 წლის 3 აგვისტოს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მიიღო საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ოჯახში.

* * *

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, 1918 წლის დეკემბერში ლიტვის მშრომელებმა თავიანთ ქვეყანაში დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ ლიტვის კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ და მის დასახმარებლად მოსულმა გერმანელმა და ინგლისელ-ამერიკელმა იმპერიალისტებმა ჩაახშეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. მშრომელებს სასტიკად გაუსწორეს ანგარიში. ლიტვაში დამყარდა აშკარა ფაშისტური დიქტატურა. ლიტვა გახდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ნახევარკოლონია. მას ჩამოაცილეს დედაქალაქი ვილნიუსი და ერთადერთი საზღვაო ნავსადგური ქალაქი კლაიპედა. უმუშევრობა, შრომის მათხოვრული ანაზღაურება, უუფლებობა იყო მუშათა ხვედრი. მემამულეებისა და კულაკების მიერ დამონებული მშრომელი გლეხობა განწირული იყო შიმშილისა და სიღატაკისათვის. უნუგეშო მდგომარეობაში იყო მშრომელი ინტელიგენცია.

იმედით შეჰყურებდნენ ლიტვის მშრომელები აღმოსავლეთს, სოციალიზმის ქვეყანას. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრებით აღფრთოვანებულნი, ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ისინი იბრძოდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი განთავისუფლებისათვის. საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით ლიტველმა ხალხმა გამარჯვება მოიპოვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1940 წლიდან, ლიტვის მშრომელთა ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. გახდნენ რა მიწის, ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების ბატონპატრონები, მათ მოკლე ხნის განმავლობაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა შეწყვიტა ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერელ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ. გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის წლებმა ლიტველ ხალხს აურაცხელი ზარალი და ტანჯვა მოუტანა. ჰიტლერელებმა დაანგრიეს რესპუბლიკის მრეწველობა, გაჩანაგეს სოფლის მეურნეობა, მოსპეს დიდძალი კულტურული ფასეულობანი, მოსპეს მრავალი ქალაქი და სოფელი, გაჟლიტეს ასეულ ათასობით ადამიანი.

ამხანაგ სტალინის მოწოდებით ლიტვის მშრომელები სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად აღსდგნენ წმიდა სამამულო ომისათვის. ისინი იბრძოდნენ საბჭოთა არმიის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში და თავიანთი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში.

საბჭოთა არმიამ უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით იხსნა ლიტველი ხალხი დაღუპვისა და მოსპობისაგან, დაეხმარა ლიტვის მშრომელებს განეხორციელებინათ თავიანთი ოცნება — გაეერთიანებინათ მთელი მიწა-წყალი ვილნიუსთან და კლაიპედასთან ერთად ერთ საბჭოთა სახელმწიფოში — ლიტვის სს რესპუბლიკაში.

ომისშემდგომ წლებში ლიტველი ხალხის შემოქმედებითმა ძალებმა ფართო გასაქანი ჰპოვეს. უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ ლიტვის მშრომელები სახალხო მეურნეობის აღდგენას. მათ დაეხმარა საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხი და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხი. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ურალიდან, უკრაინიდან მიდიოდა ლიტვაში ეშელონები სამრეწველო მოწყობილობით, საშენი მასალებით, სოფლის მეურნეობის მანქანებით.

ომისშემდგომი სიძნელეების დაძლევით, თავისი გზიდან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხროვის ნაშთების აღგვით რესპუბლიკის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური დახმარების მეოხებით საბჭოთა ლიტვა თავის ათი წლისთავის იუბილეს შეხვდა უდიდესი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. აღდგენილი და ამუშავებულია ოკუპანტების მიერ დანგრეული ყველა ფაბრიკა და ქარხანა. შექმნილია წარმოების ახალი დარგები: დაზგათმშენებლობა, ელექტრომოტორმშენებლობა. რესპუბლიკაში გაჩნდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ახალი საწარმოები. საერთო პროდუქციის გამოშვებით მრეწველობამ 67 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ლიტვის საწარმოებში გაიზარდნენ შესანიშნავი სტახანოველები, წარმოების ნოვატორები. სერიოზული წარმატებებია მიღწეული შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, თვითღირებულების შემცირებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

უდიდესი ისტორიული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. ლიტველი გლეხების ძირითადი მასა გაბედულად დაადგა საკოლმეურნეო გზას. საკოლმეურნეო წყობილებამ შექმნა ყველა პირობა სოფლის მეურნეობის უმაგალითო აღმავლობისათვის, ტრაქტორებისა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფართო გამოყენებისათვის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის პრაქტიკაში დანერგვისათვის. ახლა ლიტვაში არის ასზე მეტი მტს-ი. კოლმეურნეობებმა წარმატებით მოაწყეს საგაზაფხულო თესვა და ორგანიზებულად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელს აქვს 4-5 მეცხოველეობის ფერმა.

ბედნიერი სასიხარულო ცხოვრება მოუტანა ლიტვის სოფელს საკოლმეურნეო წყობილებამ. იცვლება ლიტვის სოფლის სახე, იზრდებიან ახალი ადამიანები. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ამხ. აპოლსკისი, ვოლსკისი, კაზაკევიჩიუსი, რაკიცკენე არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

ლიტველმა ხალხმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია თავისი კულტურის — ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკაში შემოღებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლა. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი ოთხჯერ აღემატება იმას, რაც ბურჟუაზიულ ლიტვაში იყო. მუშაობენ ცხრა ინსტიტუტი, ორი უნივერსიტეტი, ათობით ტექნიკუმი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილია მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ამჟამად თერთმეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აქვს.

აყვავდა ლიტვური ლიტერატურა და ხელოვნება. ლიტველი მწერლები ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომაზე და ეხმარებიან მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. ასეთებია ტ. ტილვიტისის პოემა „უსნინე", ი. დოვიდაიტისის რომანი „ქარიშხლის შემდეგ", ი. ავიჟიუსის მოთხრობათა კრებული საკოლმეურნეო მშენებლობაზე — „ღირსება" და სხვ. ლიტვის მშრომლები მშობლიურ ენაზე კითხულობენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს, რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, საბჭოთა მწერლების თვალსაჩინო ნაწარმოებებს.

ომისშემდგომ წლებში ლიტვის კომპოზიტორებმა და მხატვრებმა ბევრი მშვენიერი ნაწარმოები შექმნეს. რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა შრომამ საბჭოთა ხალხის მაღალი შეფასება დაიმსახურა. კომპოზიტორებს ტალატ-კელპშას და დვარიონასს, მოქანდაკე მიკენასს, ლიტვის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთა ჯგუფს, ლიტვის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო სახალხო ანსამბლის ხელმძღვანელებს მიენიჭათ სტალინური პრემიები.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომელსაც მასებში შეაქვს მოწინავე საბჭოთა კულტურა. ახლა სოფლებშია სამი ათასზე მეტი კლუბი, ასობით ბიბლიოთეკა, რადიოკვანძი, კინოდანადგარი და სხვა. მხატვრულ თვითმოქმედებაში მონაწილეობს ასი ათასამდე მშრომელი. ფართო პოპულარობით სარგებლობენ სასოფლო ლექტორიუმები, რომლებიც თითქმის ყველა სათემო ცენტრშია.

ლიტვური კულტურის მიერ მოპოვებული წარმატებანი მიღწეულია ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ლიტველ ხალხს შესაძლებლობა მიეცა დაუბრკოლებლად ისარგებლოს რუსული კულტურისა და სსრ კავშირის ყველა ხალხთა კულტურის დიდი ქმნილებებით.

ლიტვის მშრომელთა ფიქრები მიმართულია ლიტველი ხალხის დიდი მეგობრისადმი, ყველა მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი დაეხმარნენ ლიტველ ხალხს დაეცვა თავისი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, აღედგინა სახალხო მეურნეობა. ახალი საბჭოთა ლიტვის მშენებლობის მთელ მუშაობაში მისი ხალხი მუდამ გრძნობს სტალინურ ხელმძღვანელობას, სტალინურ ზრუნვასა და ყურადღებას. ხალხთა სტალინური მეგობრობა ლიტვის მშრომელთა ძალების მძლავრი წყარო გახდა. მცირესა და დიდში ჩვენ მუდამ ვგრძნობთ დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა ხალხების მხარდაჭერას.

ბოლშევიკების პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა სტალინმა ლიტველი ხალხი გამოიყვანეს ბედნიერების გზაზე. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ლიტვა მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ!

ა. ტრეიბერგი
ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

ათი წლის წინათ ესტონეთში დამხობილ იქნა ბურჟუაზიის ბატონობა. კომუნისტური პარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი, სახალხო მთავრობა, რომელმაც მაშინვე განახორციელა მთელი რიგი დემოკრატიული ღონისძიებანი. ახლად არჩეულმა სახელმწიფო სათათბირომ 1940 წლის 21 ივლისს გამოაცხადა ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და გადაწყვიტა შუამდგომლობა აღეძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საბჭოთა ესტონეთის მიღების შესახებ. ამ დღიდან დაიწყო ახალი ხანა ესტონეთის განვითარებაში.

დიდი იყო ესტონეთის მშრომელთა სიხარული, როცა მათ შეიტყვეს, რომ სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ 1940 წლის 6 აგვისტოს ესტონეთი მიიღო სსრ კავშირის შემადგენლობაში როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ესტონეთის რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯვება 1940 წლის ივლისის სახელოვან დღეებში შედეგი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა, რომელმაც ხალხებს დაუსახა პროგრესისა და აყვავების, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სამიდო გზები, რომელმაც მშრომელებს უჩვენა გამოსავალი პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი მონობიდან.

საბჭოთა ესტონეთის მშრომელები რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავის დღეს ეგებებიან როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

* * *

ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ჯერ კიდევ 1917 წელს, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ჩაახშო ინგლის-ამერიკა-გერმანიის ინტერვენციამ, რომლის დახმარებითაც კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიულმა ხროვამ ხელთ იგდო ძალაუფლება. ბურჟუაზიული ესტონეთი იმპერიალიზმის აგრარულ-სანედლეულო დანამატი, ნახევარკოლონია გახდა. წლითიწლობით ეცემოდა და მცირდებოდა სამრეწველო წარმოება. უმუშევრობა ქრონიკული მოვლენა გახდა. ღატაკდებოდა ათასობით გლეხური მეურნეობა.

მიუხედავად სისხლიანი ტერორისა და რეპრესიებისა, რომლებითაც ესტონეთის ბურჟუაზია ცდილობდა ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა, ხალხში არასოდეს არ გამქრალა საბჭოთა ხელისუფლების იდეა. ხალხის ათასობით საუკეთესო წარმომადგენელი მამაცურად იბრძოდა მშრომელთა სურვილების განსახორციელებლად. მათმა ბრძოლამ მოამზადა 1940 წლის ისტორიული მოვლენები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა ვითარება ესტონეთში, გამოცოცხლდა მრეწველობის მუშაობა, მოკლე ვადაში ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა. უმიწაწყლო და მცირემიწიანმა გლეხებმა მიიღეს მიწა, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე დროებით შეწყვიტა ეს მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა. ესტონელი ხალხი სსრ კავშირის მთელ ხალხებთან ერთად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში. 20 ათასი მისი მამაცი შვილი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ცხრა მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა დიდი ზარალი მიაყენეს ესტონეთის სახალხო მეურნეობას. ბევრი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ცნობილი კრენჰოლმის მანუფაქტურა, ბალტიის მანუფაქტურა, მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად იქნა დანგრეული. ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ეს ნგრევა დიდხანს შეაჩერებდა ესტონეთის განვითარებას. საბჭოთა სოციალისტური წყობილების, მოძმე ხალხების და პირველ რიგში რუსი ხალხის უანგარო დახმარებით, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით საბჭოთა ესტონეთის მშრომელებმა მოკლე ვადაში არა მარტო აღადგინეს თავიანთი მეურნეობა, არამედ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგეს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

თავის ათი წლისთავს ესტონეთის სსრ ეგებება მნიშვნელოვანი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. უკვე 1947 წელს მისმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების მიხედვით გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1949 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ომამდელთან შედარებით ორნახევარჯერ გადიდდა.

ამჟამად ესტონეთის სს რესპუბლიკაში აღდგენილია და მუშაობს ომამდე არსებული თითქმის ყველა საწარმო, აგრეთვე შექმნილია ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო.

სახეს იცვლიან საბჭოთა ესტონეთის ქალაქები და დაბები, რომლებიც ომისაგან დაზარალდნენ. ნანგრევების ადგილას შენდება ახალი საწარმოები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, პარკები, სკვერები. წინანდელზე ლამაზი ხდება რესპუბლიკის დედაქალაქი ტალინი, რომელიც ომის დროს ძალიან დაზარალდა.

ესტონეთის სსრ მშრომელთა პატრიოტიზმი, მათი ერთგულება პარტიისადმი, მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი, მკაფიო გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების ფართო მასშტაბით, რომელშიც ჩაბმულია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშების 90 პროცენტზე მეტი. ათობით საწარმომ, ათასობით მუშამ უკვე დიდი გადაჭარბებით შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ესტონეთის სსრ საწარმოებმა 400-ზე მეტჯერ დაიმსახურეს პრემიები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ძირეული გარდაქმნები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. მის განვითარებაში გარდატეხის წელი იყო 1949 წელი. ამ წლის გაზაფხულიდან ესტონეთის გლეხობა მასებად შედის კოლმეურნეობებში. ამჟამად გლეხურ მეურნეობათა 80 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

ესტონეთის სოფელმა მიიღო ტრაქტორები, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მინერალური სასუქები. ამჟამად რესპუბლიკაში 56 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი პარკით. კოლექტიური შრომის, თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების ფართო გამოყენებით სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევს. როგორც წესი, კოლმეურნეობების მოსავალი 15-25 პროცენტით სჭარბობს იმ მოსავალს, რასაც ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები იღებდნენ.

წარმატებით ვითარდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა. თითქმის ყველა კოლმეურნეობას უკვე აქვს ოთხ-ოთხი ფერმა. კოლმეურნეებმა დაიწყეს მოძრაობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ორ წელიწადში (1951 წლის 1 იანვრისათვის) შესასრულებლად.

დიდი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ თავიანთ მინდვრებზე მოყავთ მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი.

განუხრელად მაღლდება საბჭოთა ესტონეთის მშრომელების ცხოვრების მატერიალური დონე. ქალაქისა და სოფლის მშრომელები გაბედულად შეჰყურებენ მომავალს, მათ იციან, რომ წინ არის უფრო ბედნიერი და უზრუნველყოფილი ცხოვრება.

ფართოდ განვითარდა ესტონელი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკაში განხორციელებულია სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა. საბჭოთა ესტონეთის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 40 ათასით მეტია, ვიდრე ბურჟუაზიული ესტონეთის სკოლებში იყო. ახალი საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს ამზადებს 8 უმაღლესი სასწავლებელი. პირველად ესტონეთის ისტორიაში შექმნილია რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემია ექვსი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტით.

მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების დიდ სურვილს იჩენენ. 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების 1.700 ათასი წიგნი. ექვს გამოცემად გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. ესტონურ ენაზე გამოდის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულები. მასობრივი ტირაჟებით გამოდის რუსული ლიტერატურის კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები.

ესტონეთის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა შექმნეს ბევრი ნაშრომი და ნაწარმოები, რომელთაგან საუკეთესოებს მიენიჭა სტალინური პრემიები. ორჯერ მიენიჭათ სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება ცნობილ ესტონელ მწერალს ა. იაკობსონს და კომპოზიტორ ე. კაპს. სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის არიან მეცნიერი-მიჩურინელი მ. პილი, მწერალი ჰანს ლებერეხტი, კომპოზიტორები გ. ერნესაქსი და ა. კაპი, კინოხელოვნების მოღვაწე ვ. ტომბერგი, მსახიობები ლაური, კოდანიკორპი, ოტსი, კუუზიკი, ტარასი და სხვები. ესტონეთის ლიტერატურის დეკადა მოსკოვში, რაც წელს მაისში მოეწყო, რესპუბლიკის მწერლების შემოქმედებითი ანგარიში იყო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობის წინაშე.

საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში, მტკიცედ დარაზმულნი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, თავისი საუკეთესო მეგობრის, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, საბჭოთა ესტონეთის მშრომელები მტკიცედ მიდიან წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსადმი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

შანხაი, 19 ივლისი. (საკდესი). შანხაის ყველა გაზეთმა დღეს თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა კორეის საკითხის გამო ნერუს მიმართვაზე ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ ცნობის კომენტარი.

გაზეთი „ძეფანძიბაო" ხაზგასმით აღნიშნავს: „განიხილავს რა კორეის საკითხს, ი. ბ. სტალინი ნერუს მიმართვის პასუხად უჩვენებს მას დეპეშას იმის შესახებ, რომ კორეის საკითხი მოწესრიგებულ უნდა იქნას უშიშროების საბჭოს საშუალებით ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლების, მათ შორის ჩინეთის სახალხო მთავრობის წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით".

გაზეთი „დაგუნბაო" მოწინავე სტატიაში წერს: „თავის პასუხში ნერუს მიმართვაზე გენერალისიმუსი სტალინი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაში მდგომარეობს კორეის საკითხის არსი. ამერიკის იმპერიალიზმმა კორეაში გაჩაღა აგრესიული ომი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს უკანონო რეზოლუციის საფარით და ხელთ იგდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წმიდა ალამი. უშიშროების საბჭოს სხდომაში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს რომ მიეღოთ მონაწილეობა, უშიშროების საბჭო ასეთ აბსურდულ რეზოლუციას არ გამოიტანდა.

ამერიკის იმპერიალიზმი და მისი ვასალური სახელმწიფოები განზრახ უშლიდნენ ხელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელს დაეკავებინა თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ასეთი მოქცევით ძირს უთხრიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სიმტკიცეს. აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი იმყოფებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხოლო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი დაბრუნდეს უშიშროების საბჭოში.

სტალინის აზრი იმის შესახებ, რომ კორეელი ხალხის წარმომადგენლებს ნება უნდა დაერთოთ მოახსენონ უშიშროების საბჭოს კორეელი ხალხის პოზიცია, ფრიად მნიშვნელოვანია; კორეელი ხალხის წარმომადგენლად არ უნდა იყოს მოღალატე ლი სინ მანის წარმომადგენელი.

კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად უშიშროების საბჭომ უნდა მოისმინოს თვალსაზრისი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებისა, რომლებიც 30-მილიონიანი კორეელი ხალხის ნამდვილი ნების წარმომადგენლები იქნებიან".

პოლონეთი

ვარშავა, 19 ივლისი. (საკდესი). ყველა პოლონური გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს იმ მიმართვების ტექსტს, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის პასუხი ნერუს მიმართვაზე მიუთითებს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთ გზას. ეს პასუხი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რაოდენ თანმიმდევრულია სტალინური პოლიტიკა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა, სტალინური პოლიტიკა საერთაშორისო შეთანხმებათა და თვითეული ხალხის იმ უფლების პატივისცემისა, რომ თვითონ განაგებდეს თავის ბედს.

ამერიკელმა აგრესორებმა, აღნიშნავს გაზეთი, კორეელ ხალხზე თავიანთი სისხლისმღვრელი თავდასხმა უკანონოდ და ფარისევლურად დაფარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით. ეს ფაქტი გახდა შემდგომი ნაბიჯი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისი აგრესიული მიზნებისათვის გამოყენების იმ პოლიტიკაში, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ ამერიკელი იმპერიალისტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 475-მილიონიანი ჩინელი ხალხის წარმომადგენელთა დაუშვებლობა შეუძლებელს ხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგატთა მონაწილეობას.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, ურყევად დგას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის სადარაჯოზე. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს იმ პრინციპებსა და წესდებას, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ნერუს მიმართვაზე თავის პასუხში გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება მიზანშეწონილია ხუთი დიდი სახელმწიფოს, მათ შორის ჩინეთის სახალხო მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გენერალისიმუსმა სტალინმა თავის პასუხში აგრეთვე განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა მოუსმინოს კორეელი ხალხის წარმომადგენლებს.

მილიონობით ადამიანები, რომლებიც აღშფოთებით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულს, სსრ კავშირის პოლიტიკაში, სტალინის პოლიტიკაში ხედავენ გზას მშვიდობისაკენ.

ი. ბ. სტალინის პასუხს, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, მხარს უჭერს ასეულ მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში და მთელი პოლონელი ხალხი.

რუმინეთი

ბუქარესტი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს რუმინეთის გაზეთები აქვეყნებენ და კომენტარს უკეთებენ ამხანაგ სტალინის პასუხს ნერუს მიმართვაზე.

გაზეთი „სკინტეია" წერს:

„ამხანაგ სტალინის პასუხს ნერუს მიმართვაზე სიხარულით შეხვდება მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. რამდენიმე ნათელი მკაფიოდ გამოკვეთილი სიტყვით საბჭოთა კავშირის გენიალური ბელადი გამოხატავს სოციალიზმის ქვეყნის თანმიმდევრულ მშვიდობიან პოლიტიკას. უდავოა სოციალიზმის ქვეყნის სურვილი გადაიჭრას კორეის საკითხი ისევე, როგორც ყველაზე რთული საერთაშორისო საკითხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მსჯელობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გზით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე.

რა კონტრასტს წარმოადგენს ეს ნათელი პასუხი იმ აშკარა აგრესიულ პოლიტიკასთან შედარებით, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები კორეაში ახორციელებენ!

ამხანაგ სტალინის პასუხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა მტკიცედ იცავს საბჭოთა კავშირი დიდი და მცირე ხალხების ინტერესებსა და უფლებებს. ამხანაგი სტალინი ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირის პრინციპულ პოზიციას იმ საკითხში, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უდავო უფლება აქვს თავისი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა. კორეის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას და კანონიერად გადაიჭრას ისე, თუ უშიშროების საბჭოში არ იქნა მისი ხუთი მუდმივი წევრი, მათ შორის სსრ კავშირი და ჩინეთი. ამხანაგ სტალინის პასუხი გამოხატავს აგრეთვე საბჭოთა კავშირის პრინციპულ და მტკიცე პოზიციას კორეელი ხალხის სამართლიანი საქმისადმი, ამ მამაცი და კეთილშობილი ხალხის უფლებისადმი — თავისი წარმომადგენლების საშუალებით თქვას თავისი სიტყვა მაშინ, როცა მისი ბედი წყდება, მით უმეტეს, რომ კორეელმა ხალხმა უაღრესად დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ უფლება აქვს საკუთარ ხელში აიღოს თავისი ბედი და რომ უნარი შესწევს გააკეთოს ეს.

ამხანაგ სტალინის პასუხი და მშვიდობის სასარგებლოდ გადადგმული მისი ისტორიული ნაბიჯები უფართოეს გამოხმაურებას ჰპოვებენ მთელ მსოფლიოში.

რუმინელი ხალხი სულით და გულით მიესალმება მშვიდობის მაუწყებელ ამ ნაბიჯს, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად სწორია მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება — საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე ძნელ მომენტებში თვალი მიაპყრონ საბჭოთა კავშირს, დიდ სტალინს. მათ არასოდეს არ გასცრუებიათ და არ გაუცრუვდებათ იმედები. ამხანაგ სტალინის პასუხი, რომელიც გვიჩვენებს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზას, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი განძია".

გაზეთი „რომინია ლიბერა" აღნიშნავს, რომ „ამ მძიმე მომენტებში საბჭოთა კავშირი ამხანაგ სტალინის პირით უჩვენებს მთელ მსოფლიოს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების სწორ გზას. ამხანაგ სტალინის პასუხი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოს, როგორც მშვიდობის თანმიმდევარი დამცველის პრინციპულ პოზიციებს. ეს პასუხი მთელ კაცობრიობას უჩვენებს, რომ არსებობს საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთი სწორი გზა, რომელიც თავიდან აგვაცილებს ომისშემდგომ გავრცელებას.

ჩვენი ხალხი, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, ომის იმპერიალისტ წამომწყებთა მოსისხლე მტერია და დიდი სტალინის პასუხში ხედავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებას. იგი ხედავს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის გაწეულ გადამწყვეტ დახმარებას".

ბულგარეთი

სოფია, 19 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთები დღეს აქვეყნებენ ი. ბ. სტალინის პასუხს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს მიმართვაზე.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო" ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს და ნერუს მიმართვას ათავსებს სათაურით: „სტალინი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეა".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 19 ივლისი. (საკდესი). პრაღის რადიომ რამდენჯერმე გადასცა ცნობა კორეის საკითხზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს მიმართვების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ი. ბ. სტალინის განცხადებას იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება უშიშროების საბჭოს საშუალებით ხუთი დიდი სახელმწიფოს, მათ შორის ჩინეთის სახალხო მთავრობის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობას დიდი კმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე ი. ბ. სტალინის აზრმა იმის შესახებ, რომ კორეის საკითხის სწრაფად მოწესრიგებისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა მოესმინათ უშიშროების საბჭოში კორეელი ხალხის წარმომადგენლებისათვის.

პრაღის ყველა გაზეთი პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით აქვეყნებს ი. ბ. სტალინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს მიმართვათა სრულ ტექსტებს.

გაზეთებმა ამხანაგ სტალინის პასუხი ნერუს მიმართვაზე გამოაქვეყნეს სათაურებით: „გენერალისიმუსი სტალინი კორეის საკითხის შესახებ", „მშვიდობის პოლიტიკის ურყევი პრინციპები".

მთელი კაცობრიობა, წერს გაზეთი „სვობოდნე სლოვო", ყოველთვის უდიდესი ყურადღებით ისმენს და კითხულობს გენერალისიმუს სტალინის სიტყვებს. ი. ბ. სტალინის სიტყვები ამჯერადაც მოწმობენ, რომ კაცობრიობას საბჭოთა კავშირისა და გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის სახით უდიდესი და ყველაზე საიმედო დამცველი ჰყავს და რომ საბჭოთა კავშირი თავისი პოლიტიკის განხორციელებაში მუდამ ერთგულია თავისი სამშვიდობო პრინციპებისა და მიზნებისა.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 19 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს ცნობას ი. ბ. სტალინსა და ნერუს შორის მიმართვების გაცვლის შესახებ, აგრეთვე ამ მიმართვების ტექსტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერლინის საღამოს დემოკრატიული პრესის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის პასუხი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსადმი.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგ ამ აბენდი" პირველ გვერდზე დიდი სათაურით „სტალინი უპასუხებს ნერუს" ბეჭდავს ი. ბ. სტალინის პასუხის ტექსტს, აგრეთვე ნერუს მიმართვის შინაარსს.

გაზეთში „ნახტ-ექსპრეს" მთელ პირველ გვერდზე დიდი სათაურით „სტალინი მხარს უჭერს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას" დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის პასუხის სრული ტექსტი და ნერუს მიმართვა.

ბერლინი, 19 ივლისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის საპასუხო წერილს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსადმი უშიშროების საბჭოს საშუალებით კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, აგრეთვე ამ საკითხს უძღვნის სპეციალურ სტატიებს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ ორგანო „ნოიეს დოიჩლანდში" დაბეჭდილია ი. ბ. სტალინისა და ნერუს დეპეშები დიდი სათაურით: „ი. ბ. სტალინის პასუხი ნერუსადმი. დეპეშების გაცვლა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით". სათაურით „ტრუმენს არ სურს მშვიდობა კორეაში" გაზეთი აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა პასუხი გასცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს მიმართვაზე.

საპასუხო წერილში ი. ბ. სტალინი რჩევას იძლევა მოუსმინონ უშიშროების საბჭოში კორეელი ხალხის წარმომადგენლებს. ეს რჩევა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კორეის საკითხის რაიმე გონივრული გადაწყვეტა, არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ ზუსტად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 32-ე მუხლს".

„ინდოეთის პრემიერ-მინისტრის წინადადება კორეის საკითხის რაც შეიძლება მალე მოწესრიგების შესახებ, — განაგრძობს გაზეთი, — გაეგზავნა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ წინადადებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გამოხმაურების ხასიათი ნიღაბს ხდის ომის ვაშინგტონელ გამჩაღებლებს და ამით თვალნათლივ ამხილებს მათ სამხედრო განზრახვებს. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" დიპლომატიური კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, აჩესონმა ნერუსადმი გაგზავნილ პასუხში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურთ „კომუნისტური ჩინეთი შეუშვან უშიშროების საბჭოში კორეის საკითხის განსახილველად".

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" ბეჭდავს ი. ბ. სტალინისა და ნერუს დეპეშებს სათაურით: „კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება შეიძლება". გარდა ამისა, გაზეთი ბეჭდავს სტატიას, რომლის სათაურია, „რას ამბობს სტალინი კორეის საკითხზე". ამ სტატიაში გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირის გონივრული და რეალური პოზიცია უპირისპირდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სამხედრო განზრახვებს.

ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ორგანო გაზეთი „ნოიე ცაიტი" ბეჭდავს ი. ბ. სტალინის საპასუხო დეპეშას ნერუსადმი სათაურით: „სტალინი მიესალმება ნერუს შუამავლობას. დადებითი პასუხი ნერუს მიმართვაზე. კორეის წარმომადგენელს უნდა მოუსმინონ უშიშროების საბჭოში".

ი. ბ. სტალინის საპასუხო დეპეშა გამოაქვეყნეს აგრეთვე ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიის ორგანომ გაზეთმა „დერ მორგენმა" და გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ გაზეთმა „ნაციონალ ცაიტუნგმა".

იაპონიის რეაქცია სულ უფრო თავხედი ხდება

შანხაი, 18 ივლისი. (საკდესი). იაპონიის რადიოს ცნობით, 17 ივლისს დილით მთელ იაპონიაში იაპონიის კომპარტიის ორგანიზაციებს თავს დაესხნენ პოლიცია და ეგრეთწოდებული „საკვლევაძიებო სპეციალური განყოფილების" აგენტები. აიკრძალა ყველა გაზეთი, რომლებსაც იაპონიის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები სცემდნენ.

როგორც გაზეთი „ასახი" იუწყება, გენერალური პროკურორის სამმართველოს ცნობების თანახმად, იაპონიის კომპარტიის ორგანიზაციები სცემდნენ 1.009 გაზეთს, აქედან 110 წინათვე აკრძალა იაპონიის მთავრობამ.

როგორც იაპონიის პრესა იუწყება, 15 ივლისს, იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ სენდაიში (მიაგის პრეფექტურა) გაავრცელეს კორეაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ საპროტესტო მრავალი ფურცელი, პოლიციამ გაჩხრიკა იაპონიის კომპარტიის საპრეფექტურო კომიტეტი. პოლიცია თავს დაესხა აგრეთვე ქალაქის კორეელ რეზიდენტთა ლიგის ყოფილ განყოფილებას. დააპატიმრეს სამი კორეელი.

საპყრობილიდან გაათავისუფლეს პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის კონგრესის ყოფილი გენერალური მდივანი დანგე

ლონდონი, 18 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბომბეიდან გადმოგვცემს, 16 ივლისს ბომბეის პროვინციის მთავრობის განკარგულების საფუძველზე საპყრობილიდან გაათავისუფლეს ინდოელი კომუნისტების ლიდერი და პროვინციის საკანონმდებლო კრების წევრი დანგე. მასთან ერთად გაათავისუფლეს კიდევ 50 პატიმარი, რომელთა უმრავლესობა კომუნისტებია.

დანგე ორ წელიწადს იყო საპყრობილეში.

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე სერიოზულ დარტყმებს აგემებენ მოწინააღმდეგეს და განაგრძობენ შეტევას. 17 ივლისს სახალხო არმიის ნაწილებმა მთლიანად გაათავისუფლეს ქალაქი პუე (ფუიფი) განაგრძობენ რა შეტევას, მათ გაათავისუფლეს ქალაქი ნონსანი (რონზანი).

პარტიზანული რაზმები სამხრეთ და ჩრდილოეთ კენსანის პროვინციების მრავალ რაიონში, მხარს უჭერენ რა სახალხო არმიის ნაწილების შეტევას, აქტიურებენ თავიანთ მოქმედებას.

ფხენიანი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობაში, რომელიც დღეს საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევას. სახალხო არმიის ავიაციის იერიში მიიტანა ამერიკელთა საავიაციო ნაწილებსა და სახმელეთო ჯარებზე. 18 ივლისს სახალხო არმიის თვითმფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს ამერიკელთა ორი თვითმფრინავი. იმავე დღეს 16 საათსა და 30 წუთზე სახალხო არმიის ავიაციამ აღმოაჩინა ამერიკელთა 100-ზე მეტი ავტომანქანა, რომლებიც ტეგუსაკენ (ტაიკიუ) მიემართებოდნენ, დააყარა მათ ბომბები და მოსპო 60-მდე ავტომანქანა.

18 ივლისს სახალხო არმიის საზენიტო ბატარიამ ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი ამერიკელთა იმ თვითმფრინავებიდან, რომლებიც ცდილობდნენ თავს დასხმოდნენ ხინამის (კონანი) რაიონს. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა ნავსადგურ ხინამის ახლოს.

სამხედრო მოქმედება კორეაში

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, მაკარტურმა განაცხადა, რომ კორეაში ჩავიდა ამერიკის 25-ე დივიზია და ამერიკის 1-ლი ცხენოსანი დივიზია. მაკარტურმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი ამ დივიზიის ნაწილები უკვე ჩაებნენ ბრძოლაში, ხოლო მეორე დივიზიის ნაწილები ბრძოლაში ჩაებმებიან უახლოეს ხანში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აცხადებს, რომ გენერალ-ლეიტენანტ უოკერის განკარგულებაში ამჟამად სამი სრული დივიზიაა.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იაპონიის საავიაციო ბაზიდან იუწყება, რომ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებმა განაცხადეს, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს ერთი თვითმფრინავი „F-80", რომელიც, ჩანს, საზენიტო არტილერიის მოქმედების შედეგად დაიღუპა.

ამერიკელთა ცნობა კორეაში სამხედრო მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ჯონსტონი ტოკიოდან იუწყება, რომ ამერიკელთა საველე შტაბი ტეჯონიდან (ტაიდენი) გავიდა გაურკვეველი მიმართულებით. ჯონსტონი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამხრეთ კორეის ჯარები შესაძლოა აგებენ სანგრებს ოკჩხონის (იოკუსენი) მიდამოებში და ამაგრებენ პოზიციებს 12 კილომეტრზე ტეჯონის (ტაიდენის) სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომლებზეც შესაძლოა მოუხდეთ გადასვლა ამერიკის ჯარებს.

მაკარტურმა სამხრეთ კორეის ჯარების სარდლობა იკისრა

პარიზი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ტოკიოში გამოაცხადეს, რომ გენერალმა მაკარტურმა იკისრა სამხრეთ კორეის ჯარების სარდლობა.

მაკარტური სდევნის მისთვის არასასურველ ამერიკელ კორესპონდენტებს

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). 17 ივლისს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა ტოკიოდან გადმოსცა ცნობა, რომ კორეაში ამერიკის სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა უოკერმა ბრძანა კორეაში სამხედრო მოქმედების რაიონიდან „ბადრაგით" გაეყვანათ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი მარგარიტა ჰიგინსი.

არის ცნობები, რომ მარგარიტა ჰიგინსის ზოგიერთმა ცნობამ გამოიწვია მაკარტურის ტოკიოს შტაბის უკმაყოფილება, კერძოდ, ცნობამ იმის შესახებ, რომ სამხრეთ კორეის პოლიცია ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა დასტურით მასობრივად ხოცავს კორეელებს.

ზარალის დამდგენი და ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის კომისიის საქმიანობა

ფხენიანი, 18 ივლისი. (საკდესი). ზარალის დამდგენი და ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის კომისიის წევრები გუშინ გაემგზავრნენ შემდეგ რაიონებში: ფხენიანში, ნამფხოში (ტინამპო), ვონსანში (გენზანი) და ხამხინში (კანკო), სეულში, ინჩხონში (ჩემულპო), კენგის, ხვანხეს, კანვონის პროვინციაში.

კორეის მოსახლეობა ეხმარება სახალხო არმიას

ფხენიანი, 18 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილის მოსახლეობა ხალისით აძლევს თავის დანაზოგს სახალხო არმიისათვის ტანკების, თვითმფრინავებისა და ხომალდების შესაძენად. სახსრების შეგროვება აქტიურად მიმდინარეობს ფხენიანის მოსახლეობის ყველა ფენაში.

სულ რამდენიმე დღეს ორ ქალაქში — ფხენიანსა და ხამხინში თავდაცვის ფონდისათვის 10 მილიონ ვონზე მეტი შეგროვდა. თავდაცვის ფონდში სახსრების შეტანა გრძელდება.

მრეწველობის აღდგენა სამხრეთ კორეის განთავისუფლებულ რაიონებში

ფხენიანი, 18 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილის განთავისუფლებული რაიონების მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა ამერიკის ავიაციის მიერ ბარბაროსული დაბომბვით დანგრეული ფაბრიკა-ქარხნების აღსადგენად. სეულისა და მისი გარეუბნების მუშებმა უკვე აღადგინეს საფეიქრო და აბრეშუმსახვევი ფაბრიკები. აღდგენითი მუშაობა გრძელდება.

ფრანგი კოლონიზატორები მომწამლავ ნივთიერებას ხმარობენ ვიეტნამში

შანხაი, 18 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ფრანგმა კოლონიზატორებმა, რომლებიც უხეშად არღვევენ საერთაშორისო კანონებსა და ნორმებს, ამას წინათ მომწამლავი გაზები იხმარეს ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

26 ივნისს ფრანგების 17 ავიაგამანადგურებელმა და სატრანსპორტო თვითმფრინავმა მრავალი გაზიანი ბომბი დააყარა სოფლებს გოა ინგუენმინს (კაო-ბანგის ახლოს), აგრეთვე კაობანგ-ხანოის გზატკეცილს, რის შედეგადაც დიდია მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ახალგაზრდა პედაგოგები მესხეთის სკოლებისათვის

ახალციხე. (საქ. კორ.). ქალაქ ახალციხეში არსებობს სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც მასწავლებელთა კადრებს ამზადებს ძირითადად მესხეთის რაიონების სკოლებისათვის.

დაარსების დღიდან ახალციხის პედაგოგიურმა სასწავლებელმა 196 კვალიფიციური მასწავლებელი მისცა განახლებული მესხეთის სკოლებს.

მიმდინარე წელს სასწავლებელმა გამოუშვა 65 მასწავლებელი.

ბავშვთა საზაფხულო დასვენება

ჭიათურა. (საქ. კორ.). ჭიათურის მახლობლად სოფელ პერევისაში გაიხსნა ბავშვთა დასასვენებელი საზაფხულო ბანაკი.

აქ ისვენებენ მაღაროელთა და სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ბავშვები. წელს აქ 240 ბავშვი დაისვენებს.

ახალი აფთიაქი

ონი. (საქ. კორ.). სოფელ ზვარეთში გაიხსნა აფთიაქი, რომელიც გარდა ზვარეთისა მომსახურებას გაუწევს სოფელ კვაშხიეთის, ბოყვას, ძმერის, ქორთას, ქრისტესის, შრომის უბნის და ზუდლის კოლმეურნეებს.

აფთიაქი უზრუნველყოფილია მედიკამენტებითა და მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალით.

საჭადრაკო ეტიუდების საკავშირო კონკურსი

შეჯამებულ იქნა სასპორტო გაზეთ „ლელოს" მიერ გაზაფხულზე გამოცხადებული საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში.

კონკურსმა გამოიწვია საზოგადოების ფართო ინტერესი. კონკურსზე თავისი ნაწარმოებნი გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 22 ავტორმა, რომლებმაც გამოგზავნეს 33 ეტიუდი.

კონკურსის ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები და შემდეგნაირად გაანაწილა ჯილდოები:

I ჯილდო — საერთო ეტიუდისათვის მიეკუთვნათ ჭადრაკის კომპოზიციის ოსტატებს ვ. ა. კოროლკოვს და ა. ო. გერბსტმანს (ლენინგრადი); II ჯილდო — ახალგაზრდა ქართველ ეტიუდისტ ექიმ გ. ნადარეიშვილს; III და V ჯილდოები ვ. კოროლკოვს (ლენინგრადი); IV ჯილდო ზ. ბირნოვს (სტალინგრადი).

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

გუშინ, 20 ივლისს, მოსკოვსა და ლენინგრადში შედგა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ერევნის „დინამოს" გუნდები. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 5:0.

ლენინგრადში დაძაბული ბრძოლის შემდეგ თბილისის „დინამო" დამარცხდა ადგილობრივ „ზენიტის" გუნდთან ანგარიშით 2:3.

ამავე დღეს მოსკოვის „ვვს"-მა დაამარცხა სტალინგრადის „ტორპედო" ანგარიშით 3:0, ხოლო მინსკის „დინამომ" — ბაქოს „ნეფტიანიკი" ანგარიშით 3:2.

ახალი წიგნები

ა. ჯ. მენაღარიშვილი. საქართველოს ტორფი და ტორფის სანაქებები სუბტროპიკული კულტურებისათვის. სახელგამის გამოცემა. ტირაჟი 2.000. გვ. 328. ფასი 12 მან.

ტ. უ. კვარაცხელია, ტ. ა. აკულოვა, გ. პ. ქანთარია, ა. ჯ. მენაღარიშვილი. მეჩაიეობა. სახელმძღვანელო სსრ კავშირის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის (რუსულ ენაზე). სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემა. მოსკოვი. 1950 წ. გვ. 369. ტირაჟი 5.000. ფასი 7 მან. 85 კაპ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

22 ივლისს

7.25 — საუბარი გლეხობისათვის: „დედამიწისა და პლანეტების წარმოშობა". 9.15 — კომპოზიტორ ალიაბიევის ტრიო. 17.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა ზღაპრები. 18.20 — ქართული მუსიკის კონცერტი. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქართველი ახალგაზრდები". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კილჩევსკის შესრულებით. 20.45 — ლიტერატურული გადაცემა: სერგეი ბორზენკოს სტატია — „რომანი სტალინის ჯარისკაცებზე". 21.05 — შალვა მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური". 21.40 — საუბარი: როგორია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზები. 23.00 — რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური პოემა „შეხერაზადა".

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დღის ტექნიკუმში 1950-51 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღების პირობები

ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიზატორებს.

განცხადება მიიღება 10 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, არასრული საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი და ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირნი 14-დან 30 წლამდე ასაკისა. ის პირნი, რომლებმაც 1949 და 1950 სასწავლო წელს ნიშან „5"-ზე დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა, მიიღებიან უგამოცდოდ. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მათემატიკაში (წერა, ზეპირი), მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში (წერა, ზეპირი). ტექნიკუმში ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. განცხადება ტექნიკუმში მიღების შესახებ გამოგზავნილი უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ., მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების მომზადების განყოფილება, მეორე სართული, ოთახი № 2.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ქალაქის სადგურის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ნ. ქავთარაძის მამის **ილია როსტომის-ძე ქავთარაძის** გარდაცვალებას.

თბილისის გარეუბნის რაიამასკომის მრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. უჩანეიშვილს მისი შვილის **მედეა უჩანეიშვილი-ბურთიკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ტასო ჭეჟინაძე, ნონა და კლიმენტი კაპანაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ბურთიკაშვილს მისი რძლის **მედეა უჩანეიშვილი-ბურთიკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ა. სურგულაძე, დ. ბილიხოძე, ლ. ბაქრაძე, მ. ჯულელი, ო. მანაგაძე, თ. გერსამია, მ. თალაკვაძე, ე. სულხანიშვილი, ქ. გელოვანი, მ. ჯაში, ა. გალუსტოვი, ზ. თავართქილაძე იუწყებიან **ილია (შალვა) გრიგოლის-ძე თოფურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში.

მეუღლე რომან, შვილი დალილა, დედამთილი მერსაბი ვართანოვები, ძმები გოგი, ტიგრან და იაკობ გოზალოვები ოჯახებით იუწყებიან **ანა არტემის ასულ გოზალოვა-ვართანოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. 9 ძმის, 8.

მეუღლე როზალია, შვილები ალექსანდრა, ქეთევან, სიძეები გიორგი ჩიხლაძე, ოთარ ჯაში, შვილიშვილები დალილა, მადონა, ლალი იუწყებიან **ონისიმე იაკობის-ძე ლომიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VII, 8 ს. გამოსვენება 23-VII, 5 ს. კოტე მესხის, 37.

ანა კაკუშაძე, ტერენტი, დავით, ვალენტინა, ნინო, თამარ, ნატა, ქეთო კაკუშაძეები, შალვა აბულაძე იუწყებიან შ. ბურთიკაშვილის მეუღლის **მედეას** გარდაცვალებას.

ძმისწული კაკო, რძალი ხუტა ქავთარაძეები შვილებით ნელით და დევით იუწყებიან **ილია როსტომის-ძე ქავთარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-VII, 8 ს. გამოსვენება 23-VII, 5 ს. 25 თებერვლის, 11.

და ვარვარა გოზალოვა-მელაძისა, სიძე ალექსანდრე მელაძე შვილებით იუწყებიან **ანა არტემის ასულ გოზალოვა-ვართანოვას** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VII, 6 ს. 9 ძმის, 8.

ვლადიმერ, ალექსანდრე, გიორგი, ირაკლი, მინადორა, ეთერ, ნუნუ ბალაშვილები იუწყებიან **მედეა უჩანეიშვილი-ბურთიკაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04745